

# განმარტებითი ბარათი

**1. სოფელი პატარა არაქალი** – პროექტში გათვალისწინებულია უვარგისი ხის ტიხრების დემონტაჟი, ერთი მხრიდან შეკერილი ქალაქი, სამზარეულოსა და საწყობში.

ტიხრები გათვალისწინებულია წვრილი საკედლე ბლოკით,  $10*20*40$  ზომებით, კარები კი მეტალოპლასტიკური.

მოხერხებისათვის ტიხრებში გათვალისწინებულია მეტალოპლასტმასის ფანჯრის ბლოკები, რომლებიც იხსნება შიდა მხრიდან როგორც საჭმლის, ავეზე ინვენტარისა და ჭურჭლის გადასაცემად. სამზარეულოსა და საწყობში იატაკზე გათვალისწინებულია ბეტონის სტიაჟა და მეტლახის ფილებით მოპირკეტება. სამზარეულოს კედლებზე, 1,2 მ სიმაღლეზე გათვალისწინებულია მოპირკეტება კერამიკული ფილებით. სამზარეულოში გათვალისწინებულია ორუჯრედიანი სამრეცხაო, მოიკა, ხოლო ვენტილაციისათვის ორ ადგილას გათვალისწინებულია გამწოვი ვენტილაცია ორ ადგილას. სარიტუალო სახლის შიგნით და ასევე განაშენიანების შიგნით ხდება შელესვა ცემენტის ხსნარით, ასევე გათვალისწინებულია კედლების საჭირო ადგილებზე შელესვის შეკეთება. პროექტში ასევე გათვალისწინებულია შენობის შიგნით იატაკსა და კედლების შეღებვა წყალემულსიის საღებავით საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შდგენისას გამოყენებულია “ მშენებლობის შემფასებლების საბჭოს” 2015 წელს შემუშავებული სამშენებლო რესურსების ღირებულებათა ნაკრები.

**2. სოფელი ეფრემოვკა** – პროექტში გათვალისწინებულია არსებული მეტალიკური პროგონებისა და კოლონების ( $10*10*0,02$ ) დემონტაჟი, რის მაგივრად გათვალისწინებული იქნას ჩასადები დეტალები არსებულ ქამარ-პერემიკვაში, 10 ცალის ოდენობით და მეტალიკური ფერმების გათვალისწინება 5 ცალი, 2,5 მ სიმაღლის სახვადასხვა კუთხედებისაგან, რომელიც დამზადებული იქნება ადგილზე. ფერმების გასამაგრებლად გათვალისწინებულია ვერტიკალური კავშირები, კუთხედებისაგან და ასევე ორ რიგად გათვალისწინებულია ნიშნულზე +2,5 მ დემონტაჟისგან მიღებული მილკვადრატების მონტაჟი.

პროექტში ასევე ხდება ფერმებს შორის კედლების ამოყვანა 0,3 მ სიმაღლით და ფრონტონის მოწყობა 2,5 მ-ზე ზევით წვრილი საკედლე ბლოკისგან 40 სმ სისქით. მეტალიკური კონსტრუქციების კოროზიისაგან დაცვის მიზნით გათვალისწინებულია მეტალიკური ფერმების, ვერტიკალური კავშირებისა და სხვა დანარჩენი მეტალიკური კონსტრუქციების შეღებვა.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შდგენისას გამოყენებულია “ მშენებლობის შემფასებლების საბჭოს”-ს 2015 წელს შემუშავებული სამშენებლო რესურსების ღირებულებათა ნაკრები.

**3. სოფელი ჟდანოვკანი** – ობიექტი მდებარეობს სწორ და წყნარ ადგილას, სოფლის ცენტრში და ახლოსაა როგორც წყალსადენ სისტემთან ასევე ელექტრომომარაგებასთან. რიტუალური სახლის ზომა  $12*27$  მ-ია. საძირკველი გათვალისწინებულია 0,5 მ სიგანითა და 0,8 მ სიღრმით. B-7,5 მარკის ბუტობეტონით. ნესტიანობისგან დასაცავად ზემირკველი გათვალისწინებულია არსებულ მიწიდან 0,5მ სიმაღლეზე ბუტობეტონზე B-10. კედლების ამოყვანისას გათვალისწინებულია ზემირკველის იზოლაცია ცემენტის ხსნარით. შემოსასვლელი კარი გათვალისწინებულია 1,8 მ სიგანით. ცალკე გათვალისწინებულია ოთახი საჭმლის მომზადებისათვის, სამზარეულო, რომელსაც ექნება 2 კარის დიობი, რომელიც შეერთებული იქნება ზალთან, და იქნება ასევე დამატებითი გასასვლელი და საქვობი სხვადასხვა ინვენტარისა და ჭურჭლის შენახვისათვის. კარები გათვალისწინებულია 0,9-მეტრიანი.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შდგენისას გამოყენებულია “ მშენებლობის შემფასებლების საბჭოს” –ს 2015 წლის პირველ კვარტალისათვის შემუშავებული სამშენებლო რესურსების ღირებულებათა ნაკრები.

**4. სოფელი უჩმანა** – პროექტში გათვალისწინებულია გადახურვის მოწყობა ფერმების საშუალებით, მოწყობილი კუთხედებისაგან 12 მ ფრენით, რომელიც დამზადებული იქნება ადგილზე. ქვედა ქამარი გათვალისწინებულია  $125*125*8$ , ხოლო ზედა ქამარი  $80*80*8$  ზომის კუთხედებით, მეტალიკური კონსტრუქციების მოწყობა ხდება ე-42 მარკის ელექტროდებით ყველა ფერმა +2,5 მ ნიშნულზე მაგრდება 2 პროგონი-მილკვადრატით  $10*10*2$  ზომებით.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შდგენისას გამოყენებულია “ მშენებლობის შემფასებლების საბჭოს” –ს 2015 წელს შემუშავებული სამშენებლო რესურსების ღირებულებათა ნაკრები.

**5. სოფელი ყულალისი** – პროექტში გათვალისწინებულია გადახურვის დაშლა ძველი ასბოშიფერისაგან და მოწყობა მოთუთიებული გადახურვის ფოლადით. სამ ადგილას კონსტრუქციების გასამაგრებლად

გათვალისწინებულია ნივნივების, ბომებისა და გამბრჯრნის დამატება ხის მასალის გამოყენებით. შენობის უკანა მხრიდან გათვალისწინებულია ნივნივების ბოლოში ჯოროკებისა და გამბრჯენების დამატება კედლისგან ატმოსფერული ნალექების მოშორების მიზნით. პროექტში გათვალისწინებულია ძველი ფრონტონის შეკერვის დაშლა შენობის ირგვლივ, და მის ნაცვლად ახალის შეკერვა პემზობლოკით, ადგილებზე ტუმბით, 20 სმ სიგანით, და შიდა მხრიდან ცემენტის ხსნარით შელესვის გათვალისწინებით სიმაღლეზე საშუალოდ 5 მეტრა.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შდგენისას გამოყენებულია “ მშენებლობის შემფასებლების საბჭოს“ –ს 2015 წელს შემუშავებული სამშენებლო რესურსების ღირებულებათა ნაკრები.

**6. ქ. ნინოწმინდა** – პროექტში გათვალისწინებულია არსებული ძველი შენობის მთლიანი რეკონსტრუქცია, რომელიც მდებარეობს ნინოწმინდა-ახალქალაქი ცენტრალურ გზაზე. პროექტში გათვალისწინებულია უვარგისი რკინაბეტონური გადახურვის დემონტაჟი. სწორი ფორმის ტუფისაგან, და 2,3,4,5,6 და 7 ღერძებზე არსებული ადგილობრივი ქვისგან არსებული კედლების დაშლა. მეშვიდე ღერძზე ასევე გათვალისწინებულია კედლების ამოყვანა. ყველა არსებული კოლონა ამდლებული უნდა იქნას + 3,8 მეტრზე. ბეტონზ B-20. კოლონებს შორის გათვალისწინებულია ბუტობეტონური საძირკველსა და ბუტობეტონური ზეძირკველის მოწყობა. კედლების ამოყვანისას აუცილებელია მოხმარდეს დაშლის შედეგად არსებული ქვები. პროექტში  $\pm 0,00$  მიღებული იქნას 10 სმ-ით მაღლა ვიდრე არსებულ სამეზობლო შენობაში. ძველი შენობის ახალზე შესაერთებლად გათვალისწინებულია 2,4\*2,5 მ ზომის ღიობი. გათვალისწინებულია ერთსკატიანი გადახურვის მოწყობა ფერმებს საშუალებით, მოწყობილი სხვადასხვა კუთხედებისაგან. ფერმების გასამაგრებლად გათვალისწინებულია ვერტიკალური კავშირები სამ ადგილას, ჰორიზონტალურად კი სამ ადგილას მეტალიკური კვადრატები 10\*10\*2 ზომებით. გადახურვაში გათვალისწინებულია ჩასადები დეტალების მონტაჟი არასტანდარტული კუთხედებისაგან 100\*63 , რომლები ერთი მხრიდან შეკერილი იქნებიან ფერმებს, მეორე მხრიდან კი გადახურვის ბომებს. იმის გათვალისწინებით, რომ ძველი და ახალი შენობები სხვადასხვა საძირკველებზე არიან, შენობის სეისმოგამძლიერებისათვის გათვალისწინებულია მონოლითური რკინაბეტონური ქამარი 0,3 მ სიმაღლით. მეტალიკური კონსტრუქციების კოროზიისაგან დაცვის მიზნით გათვალისწინებულია მეტალიკური ფერმების, ვერტიკალური კავშირებისა და სხვა დანარჩენი მეტალიკური კონსტრუქციების შეღებვა. გადახურვა გათვალისწინებულია ხის ბალკებისაგან, 0,08\*0,12 მ ზომებით და შავი იატაკის მოწყობა 4 სმ სისქით. . ერთი მხრიდან მინზამბის გათბუნებით, ფოლფიანი, 5 სმ სისქით. შენობის უკანა მხრიდან გათვალისწინებულია დამატებითი კარის ბლოკი. . განათება გათვალისწინებულია ყოველ ფრენაზე. საფანჯრე ღიობები 2\*2,2 მ. შენობის ვენტილაციის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია სავენტილაციო შახტები 0,3\*0,3 ზომებით.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შდგენისას გამოყენებულია “ მშენებლობის შემფასებლების საბჭოს“ –ს 2015 წელს შემუშავებული სამშენებლო რესურსების ღირებულებათა ნაკრები.